აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო

სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტო“

თამარაშვილის ქ. № 15-ა

ტელეფონი: 595 444421; 577 092820

ქ.თბილისი

01.02.2021 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 5

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვალონში მდებარე 183033.00 კვ.მეტრი სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) მიწის საკ.კოდი 45.05.22.006. ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით იჯარის უფლებით გაცემის შესახებ.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის და 36-ე მუხლის პირველი და პირველი პრიმა პუნქტების შესაბამისად ,“სახელმწიფო ქონების საპრივატიზაციო თანხის საწყისი სარეალიზაციო საფასურის,სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N:570 დადგენილების “საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“; საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის N:393 დადგენილების “საჯარო სამართლის იურიდიული პირის-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“; საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის N:391 დადგენილების „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;საქართვეელოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N:1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესისა და სსიპ“ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის“უფლებამოსილების მინიჭების შესახებ “საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის N:1-1/1835 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვალონში მდებარე 182033.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი:45.05.22.006.), იჯარის უფლებით გადაცემა განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) წლის ვადით.

2. საწყის წლიურ საიჯარო ქირად დადგინდეს 8320 (რვაათას სამას ოცი) ლარი.

3. ამ გრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ნივთის სარგებლობაში გადაცემის პირობებად განისაზღვროს:

ა) წლიური საიჯარო ქირის გადახდა ყოველწლიურად, ყოველი წლის 31 დეკემბრამდე.

ბ) ამ გრძანების დანართი N1-ის შესაბამისად, ყოველი წლის დეკემბრის თვეში ამ გრძანების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ნივთის თაობაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის ინფორმაციიის წარდგენა.

გ) ამ გრძანების პირველ პუნქტში მითითებულ უძრავ ნივთზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 12 (თორმეტი) თვის ვადაში და შემდგომ ყოველ 5(ხუთი) წელიწადში ერთხელ, ხოლო თუ იჯარის ვადის გასვლამდე დარჩენილია 5 (ხუთი)წელიწადი ან ნაკლები-იჯარის ვადის ამოწურვამდე ერთი თვით ადრე, ნიადაგის ნაყოფიერების და ხარისხის შენარჩუნება - გაუმჯობესების გამოკვლევის მიზნით, ნიადაგის ანალიზის დამადასტურებელი დოკუმენტის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის წარდგენა დანართი N2-ის შესაბამისად.

5.დამტკიცდეს საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება (დანართიN3) და დაევალოს ადმინისტრაციულ სამმართველოს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება კანონით დადგენილი წესით.

6.საიჯარო ქონება განისაზღვროს სახელმწიფო მნიშვნელობის ქონებად.

7. გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის სასამართლოში (მ.კალანდაძის #71) კანონით დადგენილი წესით 1 (ერთი) თვის ვადაში

სააგენტოს უფროსი ჯ. ბოიკო